პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



ბედნიერება მათთვის, ვინც გვიყვარს

Ყოველ ჩვენგანს სურს ბედნიერება მათთვის, ვინც გვიყვარს და ვუსურვებთ მათ რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი განიცადონ. როცა მორმონის წიგნში ვკითხულობთ ჩანაწერებს ბედნიერებასა და ტკივილის შესახებ, გული გვიჩუყდება საყვარელ ადამიანებზე ფიქრით. აი ჭეშმარიტი ჩანაწერი ბედნიერი დროის შესახებ:

"და იყო ასე, რომ ამ მიწაზე არ იყო განხეთქილება ღვთის სიყვარულის გამო, რომელიც ადამიანთა გულებში სუფევდა.

"და არ იყო იქ არც შური და არც დაპირისპირება, არც უწესრიგობა და არც მრუშობა, არც ტყუილი, არც მკვლელობა, არც რაიმე ავხორცობა; და ჭეშმარიტად, ღვთის ხელით შექმნილ ადამიანთა შორის, არ იქნებოდა უფრო ბედნიერი ხალხი".

შემდეგ ვკითხულობთ:

"და რაოდენ კურთხეულნი იყვნენ ისინი! ვინაიდან უფალმა აკურთხა ისინი ყოველ მათ საქმეში; დიახ, კურთხეულები იყვნენ და ყვაოდნენ, სანამ არ გავიდა ას ათი წელი; და ქრისტედან პირველი თაობა გარდაიცვალა და მთელ მიწაზე არ იყო განხეთქილება"(4 ნეფი 1:15-16,18).

ქრისტეს მოსიყვარულე მოწაფეები ლოცულობენ და იღწვიან მსგავსი კურთხევისთვის საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის. მორმონის წიგნის ჩანაწერებიდან და მრავალმა ჩვენგანმა საკუთარი გამოცდილებიდან ვიცით, რომ ბედნიერების ძღვენი მიღწევადია. ჩვენ ვიცით, რომ ბედნიერებისკენ მიმავალი ბილიკი კარგად მონიშნულია. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ბედნიერების შენარჩუნება არ არის ადვილი, თუკი ნეფიელების მსგავსად მხსნელის მოსვლის შემდეგ ჩვენს გულებში "ღვთის სიყვარული" არ დაისადგურებს.

ეს სიყვარული ნეფიელთა გულებში სუფევდა, რადგან ისინი იმ კანონს იცავდნენ, რომელიც ამას შესაძლებელს ხდიდა. ეს კანონი მოკლედ გადმოცემულია ზიარების ლოცვებში, რომლებიც იწყება გულითადი ვედრებით ჩვენი მოსიყვარულე მამაზეციერისადმი. ჩვენ ვლოცულობთ რწმენით, სავსე გულით და ღრმა სიყვარულით ჩვენი პირადი მხსნელისადმი. ჩვენ ჭეშმარიტი ზრახვით ვიღებთ ვალდებულებას ავიღოთ საკუთარ თავზე მისი სახელი, გვახსოვდეს იგი და ვიცავდეთ ყოველ მის მცნებას. და ბოლოს, ჩვენ ვამჟღავნებთ რწმენას, რათა სულიწმინდა, რომელიც არის ღვთაების მესამე წევრი, ყოველთვის იყოს ჩვენთან და უმოწმებდეს ჩვენს გულებს მამისა და მისი საყვარელი ძის შესახებ. (იხ. მოძღვრება და აღთქმები 20:77, 79).

სულიწმინდის თანხლებით, ჩვენი გულები შეიცვლება, ასე რომ გვსურს და მივესალმებით მამაზეციერისა და უფალ იესო ქრისტეს სიყვარულს. ღვთის სიყვარულის გულში მიღება ისევე ადვილია, როგორც ამ სიყვარულის გრძნობის დაკარგვა. მაგალითად, ვინმე ირჩევს ნაკლებად ილოცოს მამაზეციერისადმი ან სრულად არ გადაიხადოს მეათედი, ან კიდევ აღარ ინადიმოს ღვთის სიტყვით, ანდა ყურადღება არ მიაქციოს ღარიბებსა და ღატაკებს.

ნებისმიერი არჩევანი – არ დავეუფლოთ უფლის მცნებებს, განაპირობებს იმას, რომ სულიწმინდა ტოვებს ჩვენს გულებს. ამ დანაკარგთან ერთად ბედნიერებაც იკლებს.

ბედნიერება, რომელიც გვსურს საყვარელი ადამიანებისთვის, დამოკიდებულია მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე. მიუხედავად ჩვენი სიყვარულისა ბავშვის, მოსწავლისა ან მეგობრის მიმართ, ჩვენ ვერ ვაიძულებთ მათ მცნებების დაცვას, რათა ისინი იყვნენ ღირსნი იმისა, რომ სულიწმინდა შეეხოს მათ გულებს და ცვლილება მოახდინოს მათში.

ასე რომ ყველაზე კარგი დახმარება, რომლის გაწევაც შეგვიძლია მათთვის, არის ნებისმიერი რამ, რაც დაეხმარება ჩვენს საყვარელ ადამიანებს საკუთარი არჩევანის გააზრებაში. ალმამ ეს მოწვევის სახით მოიმოქმედა და თქვენც შეგიძლიათ გააკეთოთ იგივე:

"დაიმდაბლეთ თავი უფლის წინაშე და შესთხოვოთ მისი წმინდა სახელით და იფხიზლეთ და ილოცეთ განუწყვეტლივ, რომ არ იყოთ ცდუნებულნი იმაზე მეტად, რისი ატანაც შეგიძლიათ და ასე გაგძღოლოდეთ სულიწმინდა, გამხდარიყავით თავმდაბალნი, თვინიერნი, მორჩილნი, მომთმენნი, აღვსილნი სიყვარულითა და სულგრძელობით;

"უფალში რწმენით; იმედით, რომ მიიღებთ მარადიულ სიცოცხლეს; თქვენს გულებში ყოველთვის ღმერთის სიყვარულით, რათა უკანასკნელ დღეს ამაღლდეთ და შეხვიდეთ მის სავანეში"(ალმა 13:28–29).

მე ვლოცულობ იმაზედ, რომ მათ, ვინც გიყვართ, მიიღონ მოწვევა – აირჩიონ გზა ხანგრძლივ ბედნიერებისკენ.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის, რომ ბედნიერება, რომელსაც ვგრძნობთ ცხოვრებაში, დამოკიდებულია ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამ გზავნილის განხილვისას მთელი ყურადღება გადაიტანეთ იმაზე, რისი კეთებაც, პრეზიდენტი აირინგის თქმით, შეგიძლიათ აირჩიოთ (ლოცვა, მუშაობა, რწმენის გამოვლენა და ჭეშმარიტი განზრახვა) რაც გაგიძღვებათ ბედნიერების გზისკენ. შეგიძლიათ მოიპატიჟოთ ისინი, ვისაც ასწავლით, ჩაიწერონ ორი ან სამი ქმედება, რომელიც უკეთ წარმართავს მათ "ხანგრძლივი ბედნიერებისკენ".

ახალგაზრდები

ქმედებები, რომლებსაც ბედნიერებისკენ მივყავართ

პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის, რომ "ბედნიერება, რომელიც გვსურს საყვარელი ადამიანებისთვის, დამოკიდებულია მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე".

თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ ნეფის, ლამანისა და ლამუელის მაგალითზე, რა შედეგები მოყვება არჩევანს. ლამანი და ლამუელი წუწუნებდნენ და არ უნდოდათ მცნებების დაცვა (იხ. 1 ნეფი 2:12). ამის შედეგად ისინი და მათი შთამომავლები დაწყევლილ და მოკვეთილ იქნენ უფლის გარემოცვიდან (იხ 2 ნეფი 5:20-24). ნეფიმ აირჩია დაეცვა მცნებები (იხ 1 ნეფი 3:7) და ამის გამო, იგი და მისი ხალხი "ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ" (2 ნეფი 5:27).

თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ იყოთ მადლიერნი და ბედნიერნი. მაგრამ ხალხი თქვენს ირგვლივ ალბათ მაინც გააკეთებს ცუდ არჩევანს, რაც წაიყვანს მათ უბედურებისა და დისკომფორტისაკენ. სანამ მათ საკუთარი არჩევანი აკისრიათ, თქვენ თქვენი მაგალითით შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ მათ არჩევანზე. როგორ შეუძლია თქვენს არჩევანს ბედნიერება მიანიჭოს სხვებს? განიხილეთ ოჯახთან ერთად სხვადასხვა ხერხები იმისა, თუ როგორ შეგიძლიათ მოახდინოთ გავლენა თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე და დაეხმაროთ მათ, იყვნენ ბედნიერნი.

ბავშვები

გამოწვევა სიკეთის კეთებისკენ

როცა იესო ეწვია ადამიანებს ამერიკის კონტინენტზე, მან ასწავლა მათ ერთმანეთის სიყვარული და სიკეთე. რა შეგიძლიათ გააკეთოთ იმისთვის, რომ მიჰყვეთ ქრისტეს და გიყვარდეთ ერთმანეთი? აი რამდენიმე იდეა. წაკითხვისთანავე მონიშნეთ ყოველი სირთულე.

- ☐ მე შემიძლია ჩავეხუტო მოწყენილს.
- ☐ მე შემიძლია ფარულად ვემსახურო ვინმეს.
- ☐ მე შემიძლია წავიკითხო კონფერენციის გამოსვლა სიკეთეზე ან ვუყურო მას.
- ☐ მე შემიძლია ვუმღერო ოჯახს საბავშვო საგალობელი.
- ☐ მე შემიძლია გავუღიმო მარტოხელა ადამიანს.
- ☐ მე შემიძლია _____.
- ☐ მე შემიძლია _____.

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი 131 *First Presidency Message, January 2016.* Georgian. 12861 131

ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ აკურთხებს ოჯახური დოქტრინის გაგება მათ, ვინც სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში გაბარიათ? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

1995 წ. ჩატარებული მოწყალების საზოგადოების შეკრების დროს, როცა პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ (1910-2008) პირველად წაიკითხა "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს", ახალგაზრდა ქალების გენერალურმა პრეზიდენტმა, ბონი ლ. ოსკარსონმა, თქვა: "ჩვენ მადლიერნი ვიყავით და ვაფასებდით ამ ზეშთამაგონებელი დოკუმენტის გამჭვირვალობას, სიმარტივესა და ჭეშმარიტებას. . . . მოწოდება მსოფლიოს იქცა ჩვენი ათვლის წერტილად მსოფლიო ფილოსოფოსების განსჯისათვის და მე ვმოწმობ, რომ მასში დასახული პრინციპები . . . დღესაც ისევე ჭეშმარიტია, როგორც მაშინ, როცა ისინი მოგვეცა ღვთის წინასწარმეტყველის მიერ დაახლოებით 20 წლის წინ".[1]

"ამ მოწოდებიდან ოჯახს", - ამატებს მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი, კეროლ მ. სტეპენსი, - ჩვენ ვსწავლობთ, რომ წინამიწიერ სამყაროში სულიერი შვილები სცნობდნენ ღმერთს და თაყვანს სცემდნენ მას, როგორც მარადიულ მამას'[2]. . .

". . . ჩვენ ყველანი მივეკუთვნებით ღვთის ოჯახს და ვჭირდებით მას".[3]

ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, როცა მშობლებმა უნდა დაიცვან საკუთარი სახლები და ოჯახები. "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" გვაძლევს მიმართულებას.

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

მოსია 8:16-17; მოძღვრება და აღთქმები 1:38

ისტორიები ცხოვრებიდან

"ლი მეი ჩენ ჰო ტაომ იუანის მესამე მრევლიდან (ტაო იუანის ტაივანის პალო) თქვა, რომ მოწოდებამ ასწავლა მას, რომ ოჯახური ურთიერთობები ეხმარება ადამიანს ღვთიური დახასიათების განვითარებაში, როგორიცაა რწმენა, მოთმინება და სიყვარული. 'როცა ვცდილობ საკუთარი თავის გაუმჯობესებას მოწოდების მიხედვით, შემიძლია განვიცადო ნამდვილი ბედნიერება',- თქვა მან".[4]

ბარბარა ტომპსონმა, რომელიც ესწრებოდა მოწოდების პირველად წაკითხვას და რომელიც მოგვიანებით მსახურობდა მოწყალების საზოგადოების გენერალურ პრეზიდენტობაში, თქვა: "ერთი წუთით გავიფიქრე, რომ ეს ოჯახური მოწოდება სინამდვილეში მე დიდად არ მეხებოდა, რადგან არ ვიყავი გათხოვილი და არ მყავდა შვილები. მაგრამ ისევე სწრაფად გავიფიქრე: 'კი, მე ეს მეხება. მე ხომ ოჯახის წევრი ვარ. მე ვარ შვილი, და, დეიდა, ბიძაშვილი, დისშვილი და შვილიშვილი. . . . და მე რომ ჩემი ოჯახის ერთადერთი ცოცხალი წევრი ვყოფილიყავი, მაინც ღვთის ოჯახის წევრი ვიქნებოდი".[5]

შენიშვნები

1. ბონი ლ. ოსკარსონი, "ოჯახური მოწოდების დამცავები" *Liahona,* მაისი 2015, 14, -15.
2. "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *Liahona,* 2010 წ. ოქტომბერი, გვ. 129.
3. ქეროლ მ. სტეპენსი, "ოჯახი რვთისაა", *ლიახონა,* მაისი 2015, 11.
4. ნიკოლ სეიმური, "ოჯახი: "მოწოდება მსოფლიოს" აღწევს 10 წლოვან აღნიშვნას, *ლიახონა,* ნოემბერი 2005, 127.
5. ბარბარა ტომპსონი, *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 148.

განიხილეთ შემდეგი

რანაირად წარმოადგენს "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" ჩვენი დროის დოკუმენტს?

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *Visiting Teaching Message, January 2016.* Georgian. 12861 131